წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 10 კ. ტელეფონი № 76. ოთხშაბათი ივლისის 26. 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით . . 10 მან.
თვიურათ . . 2 მან.
ცალკე ნომერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე სტრიქონი . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ.
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭ[illegible] [illegible] 2 მან. 5 მ.
[illegible] საათის შემდეგ . . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ტფილისს [illegible]
კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდის, და საღამოს [illegible]—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 88 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 88

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ეფროსინე იაკობის ასული ჰიჰინაძისა, შვილები თამარ ალექსის ასული და ბესარიონ ალექსის ძე, რძალი ზინაიდა ალექსანდრეს ასული ჰიჰინაძეები და ელენე ალექსის ასული ბურჯანაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 27 ივლისს, დაუვიწყარ

ალექსი ბესარიონის ძის ჰიჰინაძის

სულის მოსახსენებლად გადაცვალების ნახევარ წლის თავზე გადახდილი იქნება სოფელ ჰოლევს წირვა და პანაშვიდი.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

საზაფხულო შენობა.
ივლისის 24 ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

რევოლუციონერი

თანამედროვე პარტიული ცხოვრებიდან.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

საზაფხულო შენობა.
ივლისის 24 ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

არევ-დარევა

სახუმარო ფარსი 4 ნაწ. მონაწ. ნევთაროვსკის, ბოლდირევის, სტრაჟევსკის და გრომოვის.

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

დ. გურული.—ქალაქის არჩევნები.
ვ. წერეთელი.—რამდენი შეუძლებლობაა!
ინ-ხანი.—წერეთელი და კერენსკი.
რეს.—ადგილობრივი ვითარება.
პრესა.
ია ეკალაძე.—ღია წერილი გაზ. „საქართველოს“.
დამსწრე.—ჩვენებურ „ფუტურისტების“ კადნიერი გამოსვლა.

**ცნობები:**

მთავრობის კრიზისი. რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. უცხოეთი. რუსეთი. ქუთაისის საგუბ. აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა. ახალი ამბავი.

## ქალაქის არჩევნები.

ქალაქის არჩევნები მოახლოვდა. დღეს სრულდება უკანასკნელი ვადა, როდესაც კანდიდატთა სიები უნდა იქნენ წარდგენილნი ქალაქის გამგეობაში. აგვისტოს პირველ რიცხვებში არჩევნებიც დაიწყება.

მაშასადამე, სულ ახლოს არის ის სანატრელი ჟამი, როდესაც ჩვენმა ქალაქმა უნდა ისარგებლოს რევოლუციით მოპოვებულ უფლებებით. რაღა თქმა უნდა, ეს დიად ისტორიულ აქტად უნდა ჩაითვალოს ქალაქის ცხოვრებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ პესიმისტური კითხვაც იბადება: გამოვიყენებთ კი ამ უფლებას, ამდენი სისხლით მოპოვებულს? ამ კითხვას, რასაკვირველია, არჩევნები გადაწყვეტს. მაშასადამე, დღევანდელი არჩევნები ჩვენი ქალაქისთვის უნდა ჩაითვალოს პოლიტიკურ და კულტურულ გამოცდათ. ამიტომ, თვითეული ქართველი მოქალაქე გაფაციცებით შეჰყურებს არჩევნების დღეს, გულის ცახცახით მოელის იმას, თუ რა დაკვირვებას და გონიერებას გამოიჩენენ ჩვენი მოქალაქენი არჩევნებში, რომელი პარტიის სიას უფრო თანაუგრძნობენ, ვის მიანიჭებენ ქალაქის მეურნეობის გამგეობას.

აქედან ცხადია, რომ ამომრჩეველმა უნდა გაითვალისწინოს პარტიათა პროგრამები, რომ შეგნებულად და სინიდისით გადასწყვიტოს, რომელი იმათგანი უფრო კარგათ დაიცავს მცხოვრებთა ინტერესებს. პარტიათა მოძღვრება—მიმართულების გადახედვა იმიტომ არის საჭირო, რომ, როგორც ჩვენ უკვე გვქონდა ნათქვამი ერთ ჩვენ წერილში, კენჭი ეყრება, ხმა მიეცემა არა პიროვნებას, არამედ კანდიდატთა თვითეულ სიას, ამა თუ იმ პარტიიდან წარმოდგენილს. მაშასადამე, კითხვა იმაშია, რომელი პარტიის სია უფრო მეტ ხმას მიიღებს.

რაღა თქმა უნდა, პარტიის წევრი, პარტიული ინტერესებით გაჟღენთილი, თავის პარტიის სიას მისცემს საარჩევნო ხმას. აქ სალაპარაკო და სადავო არა არის რა. მაგრამ ხშირად ხდება ხოლმე, რომ ზოგიერთი მოქალაქე პარტიაში მხოლოდ ირიცხება, მისი შეხედულება კი პარტიის მოძღვრებას არ შეეფერება. ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ ის არის, თუ რა მიმართულებას მიიღებენ არჩევნებში ამისთანა მოქალაქენი და, განსაკუთრებით, იმისთანა ამომრჩევლები, რომელნიც არავითარ პარტიას არ ეკუთვნიან. რასაკვირველია, ესენი პარტიული ჟინიანობიდან და გატაცებიდან თავისუფალნი არიან, და ამიტომ უფრო ასწონ-დასწონიან იმას, თუ როგორ შეასრულონ თავისი მოვალეობა არჩევნებში. ესენი, კანდიდატთა პიროვნების გარდა, იმას მიაქცევენ უმთავრეს ყურადღებას, თუ რომელი პარტია უფრო სავსებით გამოხატავს მცხოვრებთა საერთო ინტერესებს.

ქუთაისში, მოგეხსენებათ, ოთხი პოლიტიკური პარტია არის: სოციალ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტების, სოციალ-რევოლუციონერების და ეროვნულ-დემოკრატების. აქედან უნდა გამოვრიცხოთ სოციალ-რევოლუციონერები: ამათ აქ თითქმის არავითარი ძალა არა აქვთ მოქალაქეთა წრეში. იგინი მიიღებენ საარჩევნო ხმებს მარტო ჯარისკაცებიდან. რაც შეეხება დანარჩენ სამ პარტიას, პირველათ უნდა ავიღოთ სოციალ-დემოკრატები. როგორ უნდა მოექცეს ამ პარტიას ის ამომრჩეველი, რომელიც პარტიას არ ეკუთვნის? იმან ამ პარტიის კანდიდატთა სიას გვერდი უნდა აუაროს, და აი რა მიზეზით.

ვის ინტერესებს იცავენ, სოციალ-დემოკრატები? იცავენ პროლეტარის ინტერესებს. ჩვენ არ შევუდგებით იმის განხილვას აქ, ვის ჰქვიან პროლეტარი ქუთაისში. საკმარისია ვთქვათ, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია მფარველობს **მარტო ერთ ნაწილს** ქალაქის მცხოვრებთა. მაგრამ მეორე და მესამე ნაწილმა რა დაშავა?! ამათ არ უნდა ჰქონდესთ მინიჭებული თავის ინტერესების დაცვის უფლება?! რა სამართლიანობა მოითხოვს, რომ, მაგალითად, ნოქრის მდგომარეობაზე ვიფიქროთ და მის დამქირავებელს ან სხვა წვრილ ვაჭრებს და სახლისპატრონებს შეურიგებელ მტრათ გაუხდეთ, ომი გამოუცხადოთ?!

წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ის მთავრობა სახელმწიფოში, რომელიც მცხოვრებთა ერთ ნაწილს მფარველობს, მეორეს კი მტრობს! ამისთანა შეხედულება იყო ერთი მიზეზთაგანი რუსეთის ძველი მთავრობის დანგრევისა.—ქალაქის საბჭოც, ქალაქის თვითმართველობაც ერთნაირ პატარა სახელმწიფოს წარმოადგენს.

რაც ჩვენ სოციალ-დემოკრატებზე ვთქვით, იგივე უნდა ვსთქვათ სოციალ-ფედერალისტებზე: იგინიც სოციალისტები არიან, ესე იგი მცხოვრებთა ერთი ნაწილის ინტერესების დამცველნი. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სოციალ-ფედერალისტები კლასთა ბრძოლის იდეას შეიტანენ ქალაქის თვითმართველობაში.

აქიდან ცხადია, რომ მოქალაქეებმა სხვა პარტია უნდა მონახონ, იმისთანა პარტია, რომელიც არ არღვევს კლასთა ბრძოლას ეკონომიურ ცხოვრებაში, რომელსაც სოლიდარობის, შეთანხმების სული შეაქვს ქალაქის დაწესებულებაში, რომელიც მფარველობს განურჩევლად ყველა მცხოვრებთა ინტერესებს, რომელიც სამართლიანად ეპყრობა იმ ვაჭარსაც, რომელიც წელიწადში ათი და ასიათასი მანეთის საქონელს გადაატრიალებს, და იმავე დროს დიდ ყურადღებას აქცევს იმ მეჯღანის მდგომარეობასაც, რომელსაც სადღაც, ქუჩის პირზე, დანგრეული შენობის კუთხე აულია და ძველი ფეხსაცმელების შეკეთება თავის ხელობათ გაუხდია.

ამისთანა პარტია ერთად-ერთია ქუთაისში. ეს გახლავთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

მაშ, ჩვენი რჩევა აქ თავისთავად ცხადია: ამომრჩეველთ საქმის დაკვირვების უნარი და გონიერება უნდა გამოიჩინონ არჩევნებში. ყველა ერთად, მწყობრათ უნდა მივიდეს საარჩევნო ყუთთან და თავისი ხმა ეროვნულ-დემოკრატთა სიას მისცეს. ამით ისინი დაამტკიცებენ, რომ ძმობის, თანხმობის სული და არა კლასთა ბრძოლის ლოზუნგი შეაქვთ ქალაქის საბჭოში.

დ. გურული.

## ადგილობრივი ვითარება.

გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაისტამბა ქუთაისის გუბერნიის კომისარის და მის ამხანაგის მოწოდება მიმართული ჯარისა და მოქალაქეთადმი. მოწოდება იგი ნათელ ყოფს და ააშკარავებს იმ გარემოებას, რომ ჯერ გრძელი და ძნელი გზა არის გასავლელი ახალ ცხოვრების წესწყობილების დასამკვიდრებლათ. ჩვენ მოწმენი ვიყავით უაღრესად სამწუხარო ამბებისა. ბრბომ დაარბია პოლიტიკური კლუბები. იგივე ბრბო აპირებდა მთელ ქალაქის აკლებას, რაც შიშის ზარს სცემდა ქალაქის მცხოვრებთ.

ნიადაგი ასეთ დამღუპველ მოვლენას შემდეგის გზით შეუმზადდა. ძველი რეჟიმის შემხუთველ პირობებში ზნეობრივგონებრივად ჩაგრული ხალხი რევოლუციისაგან უცებ გაბედნიერებას გამოელოდა, მხოლოდ პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვება გაჭირვებაში მყოფ მასას ვერ დააკმაყოფილებდა. უმთავრესი მისი საჭიროება და პირდაპირ სადარდელი იყო დღიურ ცხოვრების მის და სასურველათ მოწყობა. მაგრამ ცხოვრების გაუმჯობესების გზა ძნელია და ერთობ დიდ შეგნებასა და მასიურ მოქმედების უნარს მოითხოვს. თითქმის უძლეველი დაბრკოლებანი ელობებიან ხალხს წინ. სურსათ-სანოვაგის სიმცირე, უგზოობა, სიძვირე, ომი,—ყველაფერი ეს ჰქმნის უკმაყოფილებას, [illegible]ჰქმნის იქ ისეთ სულიერ განწყობილებას, რომელიც საზოგადოებრივ წესრიგის დარღვევას ძლიერ ხელს უწყობს. ზოგიერთი მცხოვრები ასე ახასიათებს თავის მდგომარეობას: „არსებითად ჩემი დუხჭირი ყოფა თავისუფლების მოპოვებას არ შეუცვლია; მშიოდა და ისევ მშია. უფროსები არც დღეს მყავს დიდად სასარგებლო, ყველაფერის შემძლებელი კაცები“.

განუვითარებელ მასის ფსიხოლოგიის დახასიათებას არ შევუდგებით. მხოლოდ ავღნიშნავთ გუბერნიაში წესრიგის დაცვა სავსებით უზრუნველ ყოფილი არ არის. მტკიცე მთავრობა არ არის რუსეთში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენც აფორიაქებას-ანარქიულ არევ-დარევას მივცეთ ჩვენი ცხოვრება. ქუთაისის გუბერნიის სოფლებიდან ცნობები მოგვდის. ესა და ეს სოფელი მეტად აღელვებული იყო სიმინდის მიუღებლობის გამო და ექსცესების მოხდენას აპირებდა... ამადა ამ სოფლის ახალ გაზდები შეეტაკენ მეორე სოფლის ახალ გაზდებს და ერთი ახალგაზდა მძიმეთ დაიჭრა. ძარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა, დეზერტირების ექსცესები დაბა სოფლებში დღიურ მოვლენათ გადაიქცა. საზარელი თვით გასამართლებაც აპირებს ჩვენს სოფელში შეჭრას.

ბევრს პირზე აკერია: „დღეს ძველის დანგრევის ხანაა, კანონი აღარ არსებობს“. ეს იმას ნიშნავს, რომ ვისაც რა სურს ის გააკეთოს და ამით ანარქიის ალი გააჩაღოს. ამბობენ, რომ სოფლის ადმ. კომიტეტებმა ავტორიტეტობა ვერ გამოიჩინეს და ხალხი მათ ნაკლებ ანგარიშს უწევსო. თუ ეს სინამდვილეა და ამას მიუმატებთ ზემორე ჩამოთვლილ პირობებს, მაშინ ჩვენს წინაშე დიდი საფრთხე წარმოდგება, საფრთხე კონტრრევოლუციისა.

რუსეთის მინისტრები აცხადებენ, რომ ჯარი, რომელმაც ხელი შეუწყო რევოლუციის მოხდენას დღეს ამ რევოლუციის მტერი ხდებაო.

„ყველა ის, ვინც ნებსით, თუ უნებლიეთ თანამედროვე მდგომარეობას ამწვავებს, კონტრრევოლუციის მოზიარეაო“ სწერენ გაზეთები. ჩვენი ვალია „ეს გამწვავება შეგნებულათ მოვსპოთ. რევოლუციურ ორგანოებს მართებთ პირველ რიგში იმ მწვავე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება რომელნიც ხალხისათვის ამჟამად საგრძნობელნი არიან. [illegible]ეყნის აწინდელ გამგებლების ვალდებულობაა, სიღრმეში ჩასწვდენ მომენტის ძახილს და სამართლიან მოთხოვნილებათ გზა გაუხსნან.

ახლად შემდგარ საგუბერნიო ადმ. კომიტეტმა უწინარეს ყოვლისა უნდა დაიცვას ხალხის საღი განწყობილება და განამტკიცოს მმართველობის წესები.

წასულ შაბათს მთვრალმა ჯარისკაცებმა გუბერნიის კომისარს, რომელიც მათ წესრიგის დაცვისკენ მოუწოდებდა, დაჰერა მოუნდომეს და შეურაცყოფა მიაყენეს. გუბერნიის კომისარმა როდესაც განაცხადა თავისი ვინაობა მაშინ ჯარისკაცებმა ხელი გაუშვეს. ინციდენტი მოწმობს, რომ ცალკე პიროვნებები საფრთხეში იმყოფებიან. მას, ვისაც გუბერნიის კომისარსავით ავტორიტეტული სახელი არ ექნება, შეუგნებულ ბრბოს ხელში შეიძლება უმართებულო მსხვერპლი გახდეს. რევოლუციის კეთილად დაგვირგვინების ინტერესი მოითხოვს ახლავე გამაგრდეს პიროვნების ხელშეუხლებლობა და სიტყვის თავისუფლება და ახალ მმართველობის ორგანოებისადმი მორჩილება. უამისოდ ყველაფერი ფუჭი იქნება.

გუბერნიის კომისარის მოწოდება ყოველ დარგის მცხოვრებთათვის სავალდებულოა.

ყველამ, ვინც გულწრფელად ახალ ცხოვრების საძირკველის ჩასაყრელათ იღწვის, სრულის შეგნებით მხარი უნდა დაუჭიროს მას.

ქართულ პოლიტიკური პარტიებს და მოწინავე საზოგადოებას მართებს ენერგიული ანგარიში გაუწიოს დღევანდელ მომენტს და თავიდან აიცდინოს მოსალოდნელი უბედურება. საჭიროა საერთო ძალით და შეთანხმებით მუშაობა ახალი წესწყობილების გასაუმჯობესებლათ.

ხალხს დღესვე უნდა დაუწესდეს სხვადასხვა დაწესებულებებში სამშობლო ენაზე საქმის წარმოება. ხალხის მმართველებათ უნდა ინიშნებოდენ ისეთი პირები, რომლებიც ხალხის ნამდვილ საჭიროებას კარგათ იცნობენ და ხალხზე საჭირო გავლენა ექნებათ.

ამას მოითხოვს დღევანდელი მომენტი.

რეს.

## რამდენი შეუძლებლობაა!

(იხ. „ჩვენი მეგობარი“, 22 ივლ. და 23 ივლ.).

უცნაური სამამულო პროგრამა გადმონერგეს ჩვენმა სოციალისტ-ფედერალისტებმა. და სამწუხაროა, რომ ამგვარ შეუძლებლობას ამაოდ სწირავენ მთელს თავის ენერგიას, რომელიც, ვინ იცის, რამდენად ნაყოფიერი იქნებოდა, მიზანშესაბამად რომ მოეხმარათ?!

ჩემი აზრის გასამუქებლად რამდენიმე მაგალითის მოყვანაც კმარა.

1) **შეუძლებლობა პირ.** სოციალისტ-ფედერალისტებს სურსთ მოსპონ მიწათ მოქმედებაში ქირით მუშაობა.

მაგრამ ეს ხომ უდიდესი შევიწროებაა შრომის თავისუფლებისა?! ეს ხომ ბუნებრივი უფლების ჩამორთმევაა?! როგორ?! კაცს ნება არ უნდა ჰქონდეს თავისი შრომა გააქირაოს, ე. ი. მოიხმაროს ისე, როგორც სურს!?

მაშ, თუ ასეა, აღარც მკურნალს უნდა ჰქონდეს უფლება იმუშაოს ქირისათვის?! აღარც ინჟინერს?! აღარც ხელოსანს?! აღარც საქარხნო მუშას?! და, თუ ეს შეუძლებელია, რისთვის გსურსთ შეავიწროოთ მხოლოდ მიწისმუშა?! რა საფიქრებელია, რომ ის ყოველთვის დაღწინებული იქნება და არაოდეს თავისი შრომის გაქირავება არ დასჭირდება?!

ვთქვათ, მუშა-საქონელი გაუწყდა. არავის დაექირაოს?! მაშ რით იცხოვროს?!

ერთი სიტყვით, ამ აკრძალვის შემდეგ ღარიბი მიწის-მუშები მომშიერი დაი-

ხოცებიან! და განა სოციალისტმა ეს უნდა უსურვოს?!

მერე კიდევ: დამტკიცებულია, რომ სამეურნეო გაუმჯობესება უმთავრესად საშუალო მიწათმოქმედის მოსახლობაშია შესაძლებელი.

ამგვარ მოსახლობას კი დაქირავებული მუშები ჰირდება. მაშასადამე, მიწათ-მოქმედებაში ქირით მუშაობის აკრძალვა —სამეურნეო ჩამორჩენას, საერთო კოტრობას, წარმოშობს!

**მეორე შეუძლებლობა.** მიწა იმდენი უნდა ჰქონდეს კაცს, რამდენის დამუშავებაც საკუთარი შრომით შეუძლიაო.

მაგრამ რა ვუყოთ ქვრივსა და მის წვრილ შვილს?! თემი დაიმუშავებს მის მიწებსო, გვეუბნებიან სოციალისტ-ფედერალისტები. კი მაგრამ, ხომ გაგიგონიათ: „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო„. და, ცხადია, თემი ვენახსა და ბაღებს არ გაუშენებს სხვის შვილებს! მაშ რატომ არ უნდა ჰქონდეს ქვრივს უფლება გააუმჯობესოს თავისი მეურნეობა დაქირავებული მუშის ხელით!?

და, თუ არამიწის-მუშას მიწა მემკვიდრეობით აღარ გადაეცემა, მაშინ გარეთწასულნი აღმოუჩენენ-ღა დახმარებას თავის მშობელ მიწათმოქმედთ?!

მოგეხსენებათ,რომ დღეს სოფლად შრომის ამგვარი განაწილებაა. ოჯახის ზოგიერთი წევრი გარეთ მუშაობს, ზოგი კი შინ. და, რომ გარეთ წასულნი შინ დარჩენილთ ფულს არ უგზავნიდენ, მიწათ მომქმედთა უმეტესობა უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდებოდა. მაში. არამიწათმომქმედთათვის მიწებზე ხელისაღებინება ღარიბ მიწათმოქმედთა განადგურებას წარმოშობს! და განა თვით მიწის-მუშას შერჩება გაუმჯობესების წამქეზებელი ხალისი, თუ კი ეცოდინება, რომ მისი გაუმჯობესებული მამული მისი შვილის ხელში არ გადავა?!

შემდეგ: რით გავზომოთ, ვის რამდენი მიწის დამუშავება შეუძლია საკუთარი ხელით? ვისაც ათი ხარი ჰყავს, ცხადია, ის მეტს დაიმუშავებს, ვიდრე ის, ვისაც ერთი უღელი ხარის მეტი არა გააჩნია-რა. მანქანის პატრონი ხომ კიდევ მეტს დაიმუშავებს. და, ვისაც სულ არა ჰყავს მუშა-საქონელი, ის ხომ სულ ვერაფერს დაიმუშავებს?!

სოციალისტ-ფედერალისტები გვანუგეშებენ: ვისაც ხარი და ცხენი არა ჰყავს, სათემო ბანკი ასესხებს ფულს და შეაძლებინებს ყიდვასო. კი მაგრამ, თუ მოვალემ სესხი ვერ გადიხადა, მაშინ ბანკი ხარს გაუყიდის?!. თუ ჭირმა გაუწყვიტა საქონელი?! და, თუ ბანკი ვერც მამულს გაუყიდის და ვერც საქონელს, ამგვარი საკრედიტო დაწესებულება რამდენ ხანს იბოგინებს?!

**3) მესამე შეუძლებლობა.** მიწის მუშამ უნდა იხადოს ხაზინის სასარგებლოდ გამათანასწორებელი რენტაო, გვეუბნებიან. არიან ბუნებით უფრო მოსავლიანი და ნაკლებად მოსავლიანი მიწები. და, ვისაც კარგი მიწები ექნება, მან თავისი ზედმეტი მოსავლის ფასი ხაზინის სასარგებლოდ უნდა იხადოსო. აგრეთვე, თუ ვინმე რკინის გზის ახლოს ცხოვრობს, უნდა იხადოს ხაზინის სასარგებლოდ იმდენი ღირებულება, რამდენადაც ნაკლებად უჯდება მას, ვიდრე შორებელ მიწისმუშას, გასასყიდი ჭირნახულის მიტანა რკინის გზამდის.

მაგრამ, როგორც მეცნიერება მოწმობს, სამეურნეო გაუმჯობესებისათვის უპირველესად ქონებრივი შეძლებაა საჭირო. და, თუ შეძლებულ მიწისმუშასაც კი გააკოტრებთ და ღარიბთან გაათანასწორებთ, როგორ-ღა გააუმჯობესებს ის თავის მიწათმოქმედებას?!

სოციალისტები, ოღონდა გათანასწორება მოხდეს, საყოველთაო ეკონომიურ ჩამორჩენასაც კი არ დაეძებენ! მაგრამ განა სანატრელია შიმშილში გათანასწორება?! არა, ბატონებო: ჩვენ უპირველესად სამეურნეო განვითარებას უნდა თანშევეწიოთ, და, თუ სრული თანასწორობა არ იქნება, მაგიერად არც საყოველთაო შიმშილი და ჩამორჩენა იქნება: სადაც ხალხის უმეტესობა მდიდარია, ღარიბთა კეთილდღეობაც, შედარებით, უფრო უზრუნველყოფილია.

**მეოთხე შეუძლებლობა.** დროგამოშვებით, მაგალითად, ყოველს ათ ან 14 წელს ერთხელ, უნდა გავზომოთ მამულები და შევასწოროთ საზღვრები: ზოგს ჩამოვსჭრათ და ზოგს მივუმატოთო, გვეუბნებიან.

მაგრამ თვითეულ მიწათმოქმედს სოციალისტებზე უკეთ მოეხსენება, რომ სამეურნეო მოსახლობა ერთს მთელს. განუყოფელს, შენაწევრებულ სისტემას წარმოადგენს, რომლის დარღვევაც—მთელი შენობის დანგრევას მოასწავებს. მათემატიკური თანშესაბამობა სუფევს, მაგალითად, ვენახის, ყანის, ტყის, სათიბისა და სხ. რაოდენობათა შორის. თვით ყანა განაწილებულია პურის, კარტოფილის, ქერის, სიმინდისა და სხ. ნაწილებს შორის. და ერთერთი ნაწილის ჩამოჭრა—მოსახლოობის მთელ შენობას გამოუთხრის ძირს.

მაშასადამე, დროგამოშვებითი გადაჭრა-გადმოჭრა და მიკერებ-მოკერება მამულებისა— სამეურნეო საქმის მუდმივ რღვევასა და დაქვეითებას მოასწავებს.

მოკლედ მოვსჭრი! სოციალისტ-ფედერალისტების აკვიატებულ ეგრეთწოდებულ ,,სოციალიზაციაში'' უანგარიშო უცნაურობა და შეუძლებლობაა!

ვასილ წერეთელი.

# წერეთელი და კერენსკი.

თუ უკანასკნელ ცნობებს დაუჯერებთ, ახალი სამინისტრო უკვე შემდგარია. კერენსკი მინისტრ-პრეზიდენტად, ხოლო წერეთელი სამინისტროს გარეშე დარჩა. ერთი მთავარი მიზეზთაგანი სამინისტროს კრიზისისა იყო ჩერნოვის პოლიტიკა. მაგრამ... ჩერნოვი კი დარჩა, ხოლო თვით რუსებისაგან ცათამდის აყვანილი კაკი წერეთელი სამინისტროდან გავიდა.

ეს სამინისტრო კერენსკიმ შეადგინა. ჩვენ უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე ვდგევართ, ხოლო ჩვენი მკითხველებისათვის და სრულიად ქართველი ერისათვის მაინც საყურადღებოთ მიგვაჩნია რუსული პრესის მსჯელობა რევოლუციის ამორ ვეტერანთა შესახებ. ჩვენ არც ერთ მათგანზე, არც წერეთელზე და არც კერენსკიზე, მათ ღირება-ნაკლულევანებაზე არას ვიტყვით. თვით რუსული გაზეთები ავალაპარაკოთ და რამდონად გულწრფელია მათი ლაპარაკი, ამას გვაჩვინებს ის ფაქტი, რომ გაღმერთებული წერეთელი აღარ უდგას სათავეში რუსეთის რევოლუციას, ხოლო ჩერნოვი, რომლის მოქმედებამ მთელი ალიაქოთი გამოიწვია რუსეთის წრეებში, თავის ადგილზე დარჩა.

აი როგორ ახასიათებს ბურჟუაზიული „რუსკაია ვოლია“ წერეთელსა და კერენსკის:

„წერეთელი გვერდით უნდი უდგეს კერენსკის, როგორც ამისი ჭეშმარიტი მოკავშირე. უწერეთლოდ სამინისტრო ვერ დაემყარებოდა მუშათა ნდობას. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ მომავალი სამინისტროს „პროგრამის“ გარშემო, როგორც იტყობინებიან, უთანხმოება ჩამოვარდნილა კერენსკისა და წერეთელს შორის: წერეთელმა სთქვა, რომ დემოკრატიამ ბევრი დასთმო და მეტი აღარ შეუძლია. კერენსკიმ ამას ჯიუტობა უწოდა. კერენსკი მართალია და წერეთელშიც პატრიოტიზმა უნდა სძლიოს. წერეთელმა უნდა დაუთმოს კერენსკის და სამინისტროში დარჩეს, და ჩერნოვმაც უნდა დიუთმეს კერენსკის, ხოლო სამინისტროდან გავიდეს. წერეთლის ყოფნა სამინისტროში მნიშვნელოვანია და ძლიერ საჭირო, ხოლო ჩერნოვისა კი შემაფერხებელი“

როგორც ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, რევოლუციამ რუსეთში უკვე მარჯვნით გადიხარა და მემარცხენე პრესა აღარ მალავს, რომ რევოლუცია შესაძლებელია ან ბურჟუაზიულის მონარქიით, ან ბონაპარტიზმით დაბოლოვდეს.

კერენსკიმ პირველმა გაუშვირა იმპერიალისტ კადეტებს ხელი და დაუფარავად დანახვა მთელს რუსეთს: ჩვენ უძლურნი ვართ, უკადეტებოთ არას ვარგვართო. მოვიგონოთ კერენსკის შეხედულება ეროვნებათა ავტონომიაზე, მოვიგონოთ მის ჩაგრულ ერებზე ბღვერა და მუშტის ქნევა და შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ მართლაც, კიშკინი, ასტროვი და ძმანი მათნი კადეტნი, უფრო ხელსაყრელია მისთვის, ვინემ თავისუფლებისათვის გაჰლექრანებული და სისხლით დაცლილი წერეთელი. შეიძლება ,,სოციალისტები'' იმანაც შეაშინა, რომ წერეთელი ქართლოსიანთა მოდგმისა არის და არა სლავიანი?

ყოველ შემთხვევაში ჩვენ, ქართველებს, განურჩევლად მიმართულებისა, ეს ფაქტი ცხვირზე უნდა გვეკეროს. ეხლა მაინც უნდა შევიგნოთ, რო ხსნა ჩვენი უბედური საცოდავი საქართველოსათვის არსაიდგან სჩანს, თუ თვითვე არ შეუდექით ჩვენი თავის პატრონობას.

რა რიგ?

ღვთის წყალობით პარტიები არ გვაკლია და ეს პარტიები, ერთად შეყრილნი, შეთანხმებულნი, საქართველოს მოყვარულნი, თვითვე ამოირჩევენ სასიარულო გზას და ჩვენს მხსნელ საშვალებებს.

მთელი ერის ნდობაცა და გულწრფელი სიყვარულიც შეთანხმებულად მომქმედ პარტიებისაკენ იქნება.

წერეთელი კი ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა ქართველია და მისი სამინისტროდან გამოსვლა სასიხარულოც არის ქართველი ერისათვის. იგი ჩამოვა და თვის პატარა სამშობლოს მიხედავს.

ღმერთმა ქნას, რომ მასთან ერთად კარლო ჩხეიძეც ჩამოსულიყოს და რუსეთში გაფანტული მთელი ქართველობაც, რათა საერთო ძალღონით საერთო სამშობლო საქართველოსათვის იზრუნონ, შეთანხმებით, სიყვარულით. ყველა შემოქმედებითი ქართულ ძალების შეერთებული მუშაობა გამარჯვებასაც გვაღირსებს. თუ რუსეთი არ გაყვება დემოკრატიულ გზას, საქართველოსათვის მხოლოდ დემოკრატიზმი არის საჭირო. მაშ კიდევ მოუწოდებთ ჩვენს პარტიებს შეთანხმებისაკენ.

გულმკვდარი ერის სულისკვეთება ეს არის და პარტიებმაც ერის სურვილს უნდა ვაუწიონ ანგარიში. გახურებული მომენტი გახურებულ მოქმედებას მოითხოვს.

ინ ხანი

# პ რ ე ს ა

რუსული პრესა და ფინეთის სეიმის დახურვა.

რუსული პრესის დიდი უმრავლესობა დაუფარავად გამოსთქვამს თავის სიხარულს ფინეთის სეიმის გარეკვის გამო. „დენი“ სწერს:

„დრ. მთავრობამ სეიმის დათხოვის აქტით არა თუ მარტო საზღვარი დაუდო ფინელთა პოლიტიკურ მადას, არამედ კონტრრევოლუციურ ელემენტებსაც მძლავრი იარაღი წაართვა. რევოლუცია არ დააქუცმაცებს რუსეთს. ფინეთის ხალხის სეიმი საკმაო პოლიტიკურ სიმწიფეს გამოიჩენს, ანგარიშს გაუწევს მომენტის სიმწვავეს და რევოლუციურ მთავრობის ბრძანებას დაუმორჩილდება.“

თუ „დენი“ ფინელებს ჭკუას ასწავლის, კადეტების „რეჩი„ ფინელ სოც.-დემოკრატებს ასეთ უკუღმართ დილემას უსვამს:

„...ჰელსინგფორსის სოც.-დემოკრატებმა, წესიერების გულისათვის, ან მთელი ფინეთის ხალხს უნდა გადასცეს კითხვის გადაჭრა, ან და უნდა განაგრძოს პოლიტიკური ავანტიურა“.

რეჩს ავიწყდება, რომ ძველი რეჟიმის დროს შეკვეცილ საარჩევნო უფლებით მოწვეულ სეიმზე ახალი, მომავალი სეიმი უფრო დაჟინებით გაიმეორებს მთელი ფინეთის ერთს მოთხოვნილებას.

სწორედ ასეთ აზრს გამოსთქვამს „რაბოჩაია გაზეტა“ც.

„სეიმის დათხოვნით კონფლიქტი უფრო გამწვავდება. ახალი სეიმი უფრო შეურიგებელი იქნება, ხოლო რუსეთის რევოლუციური მთავრობის გავლენა ფინეთში კიდევ შესუსტდება.“

ასეთისავე შეხედულებისაა მაქსიმ გორკის „ნოვაია ჟიზნი:“

„თუ ფინელები ახალი სეიმის არჩევაზე დათანხმდნენ, ამით მხოლოდ დრო გაივლის, თორემ საქმე არ გამოსწორდება. ძველი სეიმის უმრავლესობა უფრო გაძლიერებული და მეტისმეტად მტკიცე სულის კვეთებით შევა ახალი სეიმის შემადგენლობაში.“

***

ერთი მეთუნუქე მუშა „ალიონს“ უკიჟინებს ინტერნაციონალის პრინციპებისადმი მოღალატეობას.

„ავტონომისტ სოციალ-დემოკრატებო, გთხოვთ ამიხსნათ, თქვენს დროშაზე, გაზეთის თავზე რომ აწერია: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წერილები კი მარტო საქართველოს უყივის, საქართველოს პროლეტარებს აერთებს, რას ნიშნავს ეს? ზევით ყველა ქვეყნის პროლეტარებო შეერთდით? გულში კი მარტო საქართველო! ამხანაგებო, აქ სწორედ გაუგებრობას ვხედავ და გთხოვთ, ამიხსნათ.

გაზეთი ასე ამართლებს თავის პოზიციას:

აქ მართლა უბრალო გაუგებრობაა, ამხანაგო, სხვა არაფერი და ეს გაუგებრობა მარტო თქვენ კი არ დაგემართათ, არამედ იმისთანა მოწინავე ამხანაგსაც კი, როგორიცაა ლეო ნათაძე. იმანაც გვიკიჟინა ერთ დროს, რად სწერთ თქვენს გაზეთში ჩვენი მუშები, ჩვენი გლეხები, ჩვენი მეურნეობა ეს ხომ ნაციონალისტობაო და სხვა. ამის შესახებ ამხ. ლეო ნათაძემ ჯეროვანი პასუხი მიიღო.

დიდებულ ინტერნაციონალური ლოზუნგი—პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!—გულისხმობს, რომ ყველა ქვეყნის, ყველა ერის მუშები შეერთდენ თავიანთ ქვეყანაში, შექმნან ძლიერი ორგანიზაცია, შეიგნონ თავიანთი კლასიური მდგომარეობა და შეერთებულ-დარაზმულნი ინტერნაციონალში გაერთიანდნენ, ინტერნაციონალურად უნდა მომხდარიყო ყველა ქვეყნის მუშების შეერთება! ასეც მოხდა! სხვანაირად არც შეიძლებოდა დაარსდა გერმანიის, საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ერის სოციალ დემოკრატიული პარტიები და ამნაირად შეიქმნა ინტერნაციონალი. ამ ინტერნაციონალში შედიოდნენ ყოველი ერის პროლეტარიატის წარმომადგენლები. განახლებულ ინტერნაციონალში ეს წარმომადგენლობა უფრო სრული და ფართო იქნება.

როცა ფრანგი სოც.-დემოკრატი თავის გაზეთზე ამ ლოზუნგს აწერს და ფრანგის მუშებს ელაპარაკება, ფრანგულ ორგანიზაციას აწყობს, განა ის შეცდომას სჩადის? არა? მაშ, როცა ჩვენ ქართველ პროლეტარის მდგომარეობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ რაღად უნდა ჩაგვეთვალოს ეს ცოდვად? როცა ქართულ ენაზე ვსწერთ, ქართველ მუშას ვებაასებით, მის კეთილდღეობას ვემსახურებით, განა ამით სხვა ერის მუშას ვღალატობთ? მის წინააღმდეგ მივდივართ? არა, ამხანაგებო!

***

დემოკრატია თუ მონარქიზმი.

მოსკოვის ,,სოციალ-დემოკრატი აცხადებს, რომ დემოკრატიულ მასსების, ფაქტიური მფლობელობის ეპოქა რუსეთში დასრულებულად უნდა ჩაითვალოსო და სწერს:

იწყება ეპოქა იმპერიალისტურის დიქტატურისა, უკიდურეს დემოკრატიულ წესწყობილების ლიკვიდაციისა და რუსეთი ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ფორმებში იხსნება. ეხლა დაიწყება აღდგენა ძლიერი, ხალხისაგან მოწყვეტილი ბურჟუაზიული მთავრობისა, ყოველგვარი თავისუფლებების ჩახჩობა კლასიური სასამართლოების, პოლიციისა და ფოლადისებურ დისციპლინის აღორძინება. დაიწყება მასსზე ძალმომრეობის ეპოქა, ეპოქა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიის დევნისა და კონტრ-რევოლუციურ ორგანიზაციათა ძალების გამხნევება.

უკანასკნელი შედეგი ამ გზით სიარულისა არის—ბურჟუაზიული მონარქია ან ბონაპარტიზმი.

# მთავრობის კრიზისი

პ. დ. ს.

დეპეშები.

კერენსკის დარჩენა და კადეტების თანხმობა.

პეტროგრადი. ივლისის 22. ზამთრის სასახლეში საღამოს 5 საათზე მთავრობის სხდომა მოხდა, რომელზედაც დაესწრო პეტროგრადში დაბრუნებული კერენსკი. იმის შემდეგ, რაც მთავრობის თათბირის შედეგი შეიტყო და სრული ნდობა გამოუცხადეს ახალი კაბინეტის შესადგენად, კერენსკიმ თანხმობა განაცხადა პრემიერად დარჩენაზე. საღამოს განმავლობაში მას მოლაპარაკება ჰქონდა ჭგამართული ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან.

კადეტთა ცენტრალმა კომიტეტმა, მოისმინა რა კომიტეტის დელეგაციის მოხსენება ზამთრის სასახლეში თათბირის შესახებ და თათბირის შედეგი, რომ კერენსკის მინდობილი აქვს პარტიებისაგან დამოუკიდებელ, საერთო ეროვნულ პლატფორმის მაღიარებელ კაბინეტის შედგენა, განაცხადა, რომ ის აქტიურ დახმარებას გაუწევს კერენსკის ახალი კაბინეტის შედგენაში.

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

დეპეშები.

გალიციის საგანმგებლოს გაუქმება.

პეტროგრადი. ივლისის 22. გალიციისა და ბუკოვინის საქმეების გამგებლობა [illegible] თავის განმავლობაში მოათავოს საქმეები, ვინაიდან გამგებლობა უქმდება.

ჩერნოვი და მუშათა საბჭო.

პეტროგრადი. ივლისის 21 საბჭოთა კომიტეტების სხდომაზე, რომელიც განახლდა ღამის 2 საათზე, იყვნენ მინისტრები წერეთელი, ჩერნოვი და სკობელევი. როდესაც ჩერნოვი ტრიბუნაზე ადის, გაისმის ტაში. ჩერნოვი აცხადებს: მე თავი დავანებე მიწათმოქმედების მინისტრობასაო და კითხულობს წერილს, რომელიც მას კერენსკისათვის გაუგზავნია. მივმართე წერილობით აგრეთვე ბურცევს და შჩეგლოვს, რომელთა სახელითაც სარგებლობდენ და ჩემზე ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ. მათ განაცხადეს, რომ ისინი სრულიად არ არიან დამნაშავენი და არაფერი უთქვამთ, არც რაიმე საბუთი გვაქვს თქვენს წინააღმდეგაო. ჩერნოვს მიუმართავს დროებითის მთავრობისათვისაც, რათა მას მოეთხოვნა ყველა დაწესებულებათაგან საბუთები: თუ კი რამე არის მისი სახელისშემარცხვენელი. ყველა ცილის მწამებელს ჩერნოვი სამართალში აძლევს. ჩერნოვს აბრალებენ, მინისტრი რომ არის, თავს იფარავს ბრალდებათაგანაო. ეს მთავრობის სახელის გატეხაა, ამიტომ ჩერნოვი თავს ანებებს თანამდებობას, რათა როგორც კერძო პირს, საშუალება ჰქონდეს ცილისმწამებელნი სდევნოს და თავი დაიცვას. იმედია საბჭო დამეთანხმება, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავიო.

ჩერნოვის სიტყვას გაცხარებული ტაშისცემით შეხვდენ, სოციალისტმა მინისტრებმა სალამი უძღვნეს ჩერნოვს.

წერეთელი ამბობს: უნდა შევიგნოთ ჩერნოვის საქციელის კეთილშობილება. მან მიატოვა დროებითი მთავრობა, რათა საშუალება მოუსპოს მტრებს დროებითი მთავრობის წინააღმდეგ აგიტაცია გასწიონ წერეთლის სიტყვის შემდეგ. გოცმა წაიკითხა რეზოლუცია ჩერნოვის წასვლის შესახებ, რითაც საბჭოები სრულს ნდობას უცხადებენ ჩერნოვს.

ტროცკიმ და მარკოვმა წარმოსთქვეს სიტყვა და არწმუნებდენ ჩერნოვს არ გადამდგარიყო. გოცის რეზოლუცია მიიღეს. ჩერნოვს ოვაციები გაუმართეს.

ცენტრალ კომიტეტების გადაწყვეტილება.

პეტროგრადი ივლისის 22 დანის მოხსენების შემდეგ 47 ხმით 46 წინააღმდეგ (42 თავი შეიკავა) მიიღეს რეზოლიუცია: შეერთებული კრება მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტებისა აცხადებს, რომ იგი სრულიად ენდობა კერენსკის შეადგინოს კაბინეთი და მიიწვიოს იქ ყველა პარტიის წარმომადგენელი, რომელნიც იზიარებენ მთავრობის იმ პროგრსმას, რომელიც მიღებულია კერენსკის თავმჯდომარეობით და რომელიც 8 ივლისს გამოცხადდა.

ომის წინააღმდეგნი

პეტროგრადი ივლისის 20 სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების ცენტრალურ კომიტეტების შეერთებულ სხდომაზე მოისმინეს თუ არა სტოკჰოლმს გაგზავნილ და აწ უკვე დაბრუნებულ როზანოვის მოხსენება, გამოიტანეს მენშევიკების მიერ შემოტანილი რეზოლიუცია. რეზოლიუციაში ნათქვამია ერთად ერთი საშვალება ომის ლიკვიდაციისათვის ეს ენერგიული ზომების მიღებაა ომის წინაალმდეგო. ბრძოლა მშვიდობიანობისთვის უნდ წარმოებდეს იმ ნიადაგზე, რომელიც რუსეთის დემოკრატიის მიერ იქმნა აღიარებული. ამიტომ საერთაშორისო კონფერენციის მიმწვევმა ბიურომ ფრიად ენერგიული ზომებით უნდა იმოქმედოს. გადაწყვეტილია ხელმეორედ მიმართონ მოწოდებით მთელი ქვეყნის დემოკრატიას. მოწოდებაში აწერილი უნდა იქმნას ის ტრალიზმი, რომელსაც მეომარ სახელმწიფოთა დემოკრატიები განიცდიან. მოწოდებაში კატეგრიულად მოითხოვენ რომ ყველა მეომარ სახელმწიფოთა, მთავრობებმაც აღვიარონ საზავო მოლაპარაკების დაწყების აუცილებლობა.

ტერეშჩენკოს წასვლის მიზეზები.

პეტროგრადი ივლისის 22 რადგანაც პე-

ტროგრადში სხვა და სხვანაირი ხმები გავრცელდა მინისტრის ტერეშჩენკოს წასვლის შესახებ, ამიტომ ტერეშჩენკომ განაცხადა: ჩემი წასვლის მიზეზები ინდენტიურია კერენსკის წასვლის მიზეზებთანო.

ტერეშჩენკომ ხელმეორედ აიღო მისდამი რწმუნებული სამინისტროს უწყების პორტფელი.

ბოლშევიკთა ბელადების დატუსაღება.

პეტროგრადი. ივლისის 22 პეტროგრადის სამოსამართლო პალატის პროკურორმა განკარგულება გასცა დაუყონებლივ დაატუსაღონ ლუნაჩარსკი და ტროცკი. (ბოლშევიკებია).

# უცხოეთი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

გერმანეთის მე 7 სამხედრო სესხი.

სტოკჰოლმი. ივლისის 22. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ სექტემბრის ბოლოში რეიხსტაგში შეიტანენ მე-7 სამხედრო სესხის კანონპროექტს.

მომზადება ზავისთვის.

ლონდონი. ივლისის 22-თემთა პალატამ მიიღო კანონპროექტი „აღდგენის სამინისტროს“ დაარსებისა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს დემობოლიზაციასთან დაკავშირებულ კითხვები და მშვიდობიან დროის ვაჭრობა-მრეწველობის პირობები აღადგინოს.

ლლოიდ ჯორჯის დეპეშა კერენსკის.

ლონდონი. ივლისის 23. ომის 3 წლისთავის შესრულების გამო ლლოიდ ჯორჯმა კერენსკის შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: „მოვალეობად ვსთვლი დაგარწმუნოთ, რომ ბრიტანეთის ხალხი გადაწყვეტით განაგრძობს ბრძოლას ვიდრე ევროპის თავისუფლება უზრუნველყოფილი არ იქნება. მრწამს, რომ თავისუფალი რუსეთი დაბრკოლებებს სძლევს და მოკავშირეებთან ერთად თავის შვილებს მოუპოვებს ზავს, რომელიც დაიცავს მთელი ქვეყნის დემოკრატიის თავისუფლებას.

გამომჟღავნება.

ნიუ-იორკი. ივლისის 22. ვაშინგტონის ოფიციალ ცნობებით ავსტრია-უნგრეთის სერბეთისადმი მიმართულ ულტიმატუმის ტექსტი გერმანეთს 14 საათით ადრე სცოდნია ვიდრე იგი ბელგრადში იქნებოდა წარდგენილი.

ბელგიის ახალი სამინისტრო.

ჰააგა. ივლისის 22. შედგა ბელგიის ახალი სამინისტრო, რომელშიაც შედიან; (პრემიერი?) ბროკვილი, საგარეო-ვანდერ ვეიველო. ფინანსთა—კოუპინგი, სამხედრო-კორლოპიი რეპვე, შინაგან საქმეთა-პეიმანსი, საინტენდანტორი-ვანდერველდე.

პარიზი. საზღვაო მინისტრმა ლაკაზმა და დენი კოშენმა სამსახურს თავი დაანებეს.

ლონდონი. 21 ივლისი. ინტერნაციონალურ კონფერენციაზე მიდიან: ლოიდ ჯორჯი, სონინო, რობერტ სესილი, ბონარ ლოუ და რუსის დელეგატები.

ინგლისის პალატაში

ლონდონი. ივლისის 19. მუშათა დელეგაციის მიერ პარიზში წასვლამ და მინისტრ ჰენდერსონის მასში მონაწილეობამ თემთა პალატაში დიდი აღელვება გამოიწვია. ლოიდ ჯორჯმა სთქვა, რომ მთავრობას სრულიად არ შეუცვლია თავისი აზრი ომზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი ძალას მოიკრებს გერმანიასთან საბრძოლველად.

ჰენდერსონმა პალატაში პროტესტი განაცხადა იმის გამო, ვითომც მას ომზე შეეცვალოს აზრი და განმარტა, თუ რისთვის იყო წასული პარიზს.

ვილჰელმის სიტყვა.

სტოკჰოლმი. ვოლფის სააგენტო გადმოგვცემს იმ სიტყვის შინაარს, რომლითაც მიმართა იმპერატორმა გერმანიის ხალხს ომიანობის 3 წლის შესრულების გამო: სამმა წელმა გაიარა, რაც გაცხარებულად ვიბრძვით. სევდით აღსავსენი ვიგონებთ ომში დაღუპულებს და ტყვეთ წაყვანილებს და ყველას გვამხნევებს ერთად ერთი ზრახვა: დავაბოლოვოთ ღირსეულად ეს თავდაცვითი ომი. მტრები ხელებს იწვდიან გერმანელთა მიწა მამულისაკენ, მაგრამ ისინი ვერას გახდებიან. ისინი ახალ და ახალ მოკავშირეებს იძენენ, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშინებს. ჩვენ ვენდობით ჩვენ საკუთარ ძალას, ჩვენ მტრებს არ ელირსებათ ის დღე, როცა ჩვენ დაუძლურებული ვიქნებით. როცა ჩვენ მშვიდობიანობაზე დავიწყეთ ლაპარაკი, ჩვენ სიტყვებს დაცინვით შეეგებნენ. მიტომაც გავაგებიეთ თუ როგორ შეუძლია გერმანიას ბრძოლაცა და მტრის დამარცხება. ამ წლის ბოლოს ჩვენ ისევე უშიშრად და ძლიერად განვაგრძობთ ომს, როგორც შარშან ჩვენმა ხალხმა კარგად იცის რომ ჩვენ ტერიტორიის გასაფართოებლად კი არ ვიბრძვით, არამედ—ჩვენი თავისუფლების გასამკვიდრებლად. ჩვენივე თავისუფლების დაცვას უნდა შევწიროთ მთელი ჩვენი ძალღონე, ამ დევიზით გავდივართ ჩვენ ბრძოლის ველზე არმიასა, ფლოტსა და საახალშენო ჯარებისადმი მიმართულ მოწოდებაში ვილჰელმი ამბობს: მტკიცეთ დგანან ჩვენი რაზმები, მტკიცეთ იცავენ ჩვენს მამულს ომის საშინელებისაგან. ჩემი ფლოტი დღემდის იმარჯვებდა. აწიც გამარჯვება ჩვენ მხარეზე იქნება. ჩვენ ვერც დაგვამარცხებენ, რადგან ჩვენვე მტკიცე ნებისყოფა გვიკარნახებს: „ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ“.

# ეროვნული კითხვა.

პ. დ. ს.

დეპეშები.

ფინეთის სეიმის არჩევნების დანიშვნა.

ჰელსინგფორსი. ივლისის 22. სენატი შეუდგა მზადებას სეიმის ახალი არჩევნებისთვის, რომლის დროც ივლისის 18 მანიფესტის თანახმად დროებითმა მთავრობამ უნდა დანიშნოს.

ფინლანდიის სოც.-დემოკრატია.

ჰელსინგფორსი. ივლისის 29. ფინელი სოც.-დემოკრატების ტიომიე სცდილობს „ბოლშევიკები“ გაამართლოს. მთავრობის წრეში მომქმედ სოციალისტებს კი უსაყვედურებს: თქვენ ბურჟუაზიის ეპატიჟებით რევოლუციის ფერხულში და ამისათვის შეუფერებელ კომპრომისებს სჩადიხართო.

ჯარის უკრაინიზაცია.

კიევი. ივლისის 23. გენერალურ სეკრეტარიატმა აცნობა უკრაინელ ოფიცრების გადმოყვანა რუსის ჯარის უკრაინიზაციის განსახორციელებლად.

(გაზეთებიდან.)

გენერ. სეკრეტარიატის შემადგენლობა.

უკვე აირჩიეს უკრაინის გენერალ-სეკრეტარიატის შემადგენლობა:

1. თავმჯდომარე. დაშინაგან საქმეთა სეკრეტარი. უკრაინ. სოც.-დემ. ვინიჩენკო; 2. საადგილ მამულო საქმეების სეკრეტრად უკრაინ.-სოც.-დემ.—მატროსი, 3. საფინანსო—სოც.-დემ. ბარანოვსკი, 4. იუსტიციის—სოც.-დემ. სადოვსკი, 5. განათლების—სტეშენკო, 6. სასურსათო—სტასუკი, 7. სამხედრო—სოც.-დემ. პეტლიური, 7. სარკინისგზო გოლუბოვიჩი, 8. ეროვნულ უმცირესობათა უფლების დამცველი სეკრეტარი-სოც. ფედერალ. შულგინი, რომლის ამხანაგებიც არიან ა. ებრაელებისაგან—ზილბერფარბი, ბ. პოლონელებისაგან—მიცკევიჩი; 9. კონტროლიორი—რაფერი, 10. ფოსტა-ტელეგრაფისა—რუსეთის სოც.-რევოლ. ხარუზინი.

შრომისა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის თანამდებობანი ჯერ-ჯერობით დაუკავებელია.

უკრაინის საქმეთა სტატს-სეკრეტრად დროებით მთავრობის მოწვევით პეტროგრადს მთავრობასთან აირჩიეს სოციალისტ-ფედერალისტი სტებნიცკი.

დროებით გაემგზავრნენ ვინიჩენკო, რაფესი და ბარანოვსკი.

მუშათა ყრილობის დასრულება.

დასრულდა და დაიხურა კიევში შეკრებილი სრულიად უკრაინის მუშათა ყრილობა.

არჩეულ იქნა პირველი უკრაინული მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელიც მთელი თვისი შემადგენლობით უკრაინის ცენტრალ რადაში შევა. არჩეულია 70 სოც.-დემოკრატი და 30 სოც.-რევოლუციონერი.

15 ივლისს გახსნა სრულიად უკრაინის სოც.-რევოლუც. ყრილობა. სხდომები უნივერსიტეტის დარბაზში იმართება.

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. ივლისის 22. მიუხედავად ცუდი ამინდისა კარტნერის ბაკების მიდამოებში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. მზვერავებმა ფერმას სროლა აუტეხეს მტრის დარაჯებს უკან დაახევინეს. მასის ორთავე ნაპირზე სროლაა. ავოკურის ტყეში ჩვენ სანგრებზე მოტანილი მტრის იერიშები მოვიგერიეთ. არგონებში ტყვეები წამოვიყვანეთ.

პარიზი. ივლისის 23. ბელგეთში ზარბაზნების სროლა დიკსმიდეს მიდამოებში გაძლიერდა. სტეენსტრატე—ბუზანის გზის დასავლ. ჩვენმა ჯარმა ორი ფერმა აიღო. ამინდი ძალიან ცუდია. სენტეპენის მიდამოებში ზარბაზნების სროლით მტერს სანგრები დაუზიანეთ.

გოპასა და სერნის აღმოსავლ. 2 საათიდან დაწყებული მტრის იერიშები სროლით მოვიგერიეთ, მტერი სვენს სანგრებს დაუახლოვდა.

ჰპგრი. ივლისის 22 ერთობ ცუდი ამინდის გამო ზარბაზნების მოქმედება მთელ ასპარეზზე შეზღუდული იყო რამსკაპელეს წინ გერმანელთა 2 ბატარეას დაუშინეთ.

ბალკანეთის ასპარეზი.

პარიზი. ივლისის 20. (დაგვიანებულია გზაში) მდ. ვარდარის მარჯვენა ნაპირზე ზარბაზნების სროლაა. უბნას მოსახვევში ფრანგების პოზიციებს მოწინაამდეგემ დაუშინა, მაგრამ მისი ბატარეები ფრანგებმა ჩააჩუმეს. ინგლისელთა მფრინავებმა მოწინაამდეგის ჯარს გევგელისა და დემირ გისარას მიდამოებში ყუმბარები დაუშინეს, მონასტერის ჩრდილ. კორიცასთან კი ფრანგმა მფრინავებმა.

პარიზი. ივლისის 22. მდ. ვარდარის აღმოსავლ. როზანის ახლო საარტილერიო მომზადების შემდეგ მტერმა მოულოდნელად იერიშების მოტანა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო ვარდარის დასავლეთით საშუალო სიძლიერის საარტილერიო ცეცხლია. პეტრიჩის ჩრდილ. 30 ვერსზე ინგლისელმა მფრინავებმა ილსკოის ყუმბარები დაუშინეს.

გერმანელები მოდიან.

მომქმედი არმია. ივლისის 20 რუმინიის ფრონტზე მტერი წინ იწევს მალდავასა და პუტნოს შორის მდ. კოსინის ხეობისაკენ.

ბერდიჩევი, ივლისის 20 ჩერნოვიცკის და ბუკოვიჩეს მიმართულებით მტერი წინ მოიწევს. შეერთებული დივიზია ავსტრო-გერმანთა იბრძვის ცნობილ ავსტრიის გენერალ კნევეშის წინამძღოლობით.

ცეპელინი რიგაზე.

რიგა. ღამე რიგაზე ცეპელინი გამოჩნდა ქ. ცენტრთან მოაწია და მერე გაქრა მიტავის რაიონისაკენ. ყუმბარები არ ჩამოუყრია.

მომქმედი არმია, ივლისის 21 გუშინ როვნოს და დუცკოზე გამოჩნდა მოზრდილი ფლოტი ლია მტრის ჰაეროპლანებისა. დუცკს ყუმბარები დაუშინეს. მტრის მფრინავებმა 9 ყუმბარა ჩამოისროლეს.

პეტროგრადი, ივლისის 23 ოფიც. დასავლეთის ფრონტი. ჩვენი მზვერავების პარტია კოველ სარონეესკის რკ. გზის ახლოს სტახოდს გადავიდა დასწყვიტა მავთულის ხლართები და მრავალი გერმანელი დაატყვევა. კოზელთან ჩვენ სანგრებში მტერი შემოგვივარდა. სერატის დასავლეთით მტერმა დაუშინა ნეიფრავ დუცკი.

რუმინიის ასპარეზი. კამპოლუნგის მიმართულებით რუსის ჯარებს უკან დაახევინეს.

კავკასიის ასპარეზი. არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

მომქმედი ჯარი. მთელი დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა. წარმოებს მზვერავთა თარეში.

# ვაჭარ-მრეწველთა კავშირი

(წერილი ზესტაფონიდან).

თანდათან იკაფავს გზას სინამდვილე. ვშორდებით უნაყოფო ლაყბობას და განყენებულ თეორიებს ჩვენი ქვეყნისათვი შეუსაბამოს, ფეხს იკიდებს ჩვენში ევროპიული ენერგია და საქმიანობა. გულმოდგინეთ უდგებით დანგრეულ სამშობლოს აღშენებას, ვივიწყებთ ჯგუფურ და პირად ინტერესებს, რაც მეტად საზიანო იყო ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის როგორც წინედ, ამიერიდგანაც უნდა შევიტანოთ ჩვენი ქართული წვლილი საკაცობრიო კულტურის სალაროში. ჩვენც ვიგნებთ ევროპიულ ქვეყანათა ეკონომიური სიმდიდრეს და შევნებას უკვე ნაყოფიც აქვს. თუ დღემდე იმაზე უფრო ვფიქრობდით, თუ როგორ გაცვენაწილებინა ქონება, ვიდრე იმაზე, თუ როგორ შეგვეძინა იგი, დღეს სულ სხვას ვხედავთ. ჩვენ შევიგნეთ მჩაგვრელთა ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც ისინი მცირე აზიაში აწარმოებენ. ვიწყებთ ახალ ეკონომიურ ცხოვრებას, ვაარსებთ სხვადასხვა სამეურნეო, საკრედიტო და სავაჭრო-სამრეწველო ბანკებს, სააქციონერო ამხანაგობებს და სინდიკატებს, რაიმე ახალი სამრეწველო საქმის გასაჩაღებლად, ვხსნით მეტად სასარგებლო ვაჭარ-მრეწველთა კავშირებს, როგორიც უკვე არსებობს თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ბაქოში და სხვაგან; დროულად დარაზმული ასეთი კავშირები და ჩვენი ეკონომიური ძალები ფხიზლად შეხედავს ჩვენს ქვეყანას და საერთაშორისო ბაზრის იმ ცვალებადობას, რომელიც მოსალოდნელია მოვყვეს ომის გათავებას.

ზესტაფონიც გაება ამ საერთო აღორძინების ფერხულში. ივლისის 18-ს მ. გვალიას მეცაძინეობით ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში შესდგა ვაჭარ-მრეწველთა და სახელოსნოთა პატრონების შეერთებული კრება, სადაც უნდა განეხილათ წესდება დასაარსებლად განზრახულ კავშირისა და ამოეირჩიათ. კავშირის მართველი კომიტეტი კრებისათვის საგანგებოთ მოწვეული იყო ქუთაისიდან, ამ საქმის ენერგიული ორგანიზატორი ტიტე მარგველაშვილი. ის დამსწრეთ ესაუბრა კავშირის მნიშვნელობაზე და მის მიზნებზე, გააცნო მათ, თუ როგორ სწარმოებდა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში ამ კავშირების დაარსება, როგორ მიმდინარეობდა ამ კავშირების მიერ ეკონომიური ძალების შეკავშირება, მობილიზაცია, როგორ იცავდა და ინარჩუნებდა უცხოელებისგან სავაჭრო. ბაზრებსა და სამრეწველო ცენტრებს აარსებდა და აგებდა სავაჭრო კამერების და ხელს უწყობდა ქვეყნის მრავალგვარ ეკონომიურად წარმატებას და გამდიდრებას შეეხო აგრეთვე მრეწველობის თანდათან განვითარებას რუსეთში ამ კავშირების წყალობით, რომლებიც ბოლოხანს ბლომად არსდება რუსეთში და მიზნათ ისახავს, რაც შეიძლება ხელი შეუწყოს ისედაც დაცემულ ვაჭრობამრეწველობას დაიხსნას სამრეწველო ცენტრები უცხო კაპიტალის ზედგავლენისაგან მაგრამუფრო დიდი ყურადღება მიაქცია ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ვითარებას და გადაუშალა დამსწრეთ თვალწინ მასი დიდი მომავალი. შემდეგ კრებას მოუწოდა, რათა ეხლავე შესდგომოდენ დაარსების ასეთ კავშირებისას რომელიც ახლო მომავალში დარაზმავს მათ საერთო სავაჭრო ინტერესების დასაცავად კრებამ აირჩია თავმჯდომარე. გამოითქვა აზრი და სურვილი ამ კავშირის დაარსების აუცილებლობის შესახებ იმ წამსვე აირჩიეს რამოდენიმე კაცისაგან შემდგარი კომისია და მას დაევალა ამ საქმის მოწესრიგება.

ამ რიგად ჩაეყარა საფუძველი ერთ დიდ საქმეს ქ. ზესტაფონში რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ეკონომიურ წარმატებაში ვუსურვებ კავშირს ჩქარსა და ენერგიულ მუშაობას, რათა სასურველათ დაავგირგვინოს თავისი დიდი როლი და მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

ივერიკო.

# ახალი ამბავი.

✦ საგანგებო მიღებულ დეპეშის ცნობით შესდგა ახალი დროებითი მთავრობა. მინისტრ პრეზიდენტი არის კერენსკი, შინაგან საქმეთა—ავქსენტიევი, ვაჭრობა მრეწველობის—პლეხანოვი, შრომისა—სკობელევი, სურსათის—პეშეხონოვი, ფინანსებ.—ნეკრასოვი, გარეშე—საქმეთა—ტერეშჩენკო, სახელმწიფო კონტროლის—ასტროვი, სინოდის კარტაშევი, სახალხო განათლების—ოლდენბურგი, გზათა—კისლიაკოვი, ფოსტა ტელეგრაფისა—სალტიკოვი, მიწად მოქმედების—ჩერნოვი და იუსტიციის—ეფრემოვი.

✦ კავკასია დამფუძნებელ კრებისათვის, თანახმად მიღებულ ცნობისა, დროებით მთავრობას საბოლოოდ გადუწყვეტია ერთ საარჩევნო ოლქად დასტოვოს.

✦ დეპეშა ი. წერეთლისა. კავკ. საგანგებო კომიტეტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგის ი. წერეთლისაგან დეპეშა მიიღო. დეპეშაში წერეთელი ავალებს კომიტეტს დაუყონებლივ წარმოადგინეთ სად მოხდა თვითნებობით წართმევა შეუგნებელ გლეხთა ჯგუფების მიერ, მიწების ყანების სათიბ-სათიბების და სხვადასხვა გვარ სამეურნეო დაწესებულებათა [illegible] და რა ზომები იქნა მიღებული პირად ქონების დასაცავად.

✦ შუამდგომლობა. [illegible] მაზრის კომისარი სთხოვს ქუთ. საგუბერნ. აღმ. კომიტეტს აცნობოს მას, თუ რომელ დღეებში ხდება საგუბერნ. აღმ. კომიტეტის სხდომები, რათა დასასწრებლად ჩამოვიდეს.

— თხოვნა. შორაპნის მაზრის აღმ. კომიტეტი ნივთიერ დახმარებას სთხოვს ქუთ. გუბერნ. აღმ. კომიტეტს.

✦ ქუთ. საგუბერნიო კომისარისგან. ქუთ. გუბერნიის კომისარი ბ-ნი გრ. გიორგაძე აცხადებს, რომ მაზრების აღმ. კომიტეტებმა ენერგიული ზომები უნდა მიიღონ ყოველგვარ კონტრ-რევოლუციურ გამოსვლების წინააღმდეგ და ყოველ მომხდარ ამბის შესახებ დეპეშით აცნობოს მას.

სოფლის და სარაიონო კომისარებმა თავის მოქმედების და ადგილობრივ მდგომარეობის შესახებ კვირაში ორჯელ წარმოუდგინონ მოხსენება კომისარს.

აგრეთვე უწესოება აგრარულ ნიადაგზე თუ სადმე მოხდა, დეპეშით უნდა შეატყობინონ გუბერნიის კომისარს, რათა ზომები ფიცხელ იქმნას მიღებული.

✦ შაქრის ბარათები. აგვისტოს პირველიდან დარიგდება შაქრის ბარათები.

✦ კრება. დღეს საათის 11-ზე საგუბერნიო სამმართველოში საქალაქო არჩევნების შესახებ წინასწარი თათბირი გაიმართება.

✦ განკარგულება. საგუბერნ. კომისარის განკარგულებით ქუთ. სახალხო მილიციის უფროსი დღეიდან ყოველ დღე უნდა წარუდგეს გუბერნიის კომისარს და სამილიციო საქმეთა შესახებ მოხსენება გააკეთოს.

✦ შუამდგომლობა. გუბერ. კომისარი ბ-ნი გრ. გიორგაძე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს შრომის და ფინანსთა მინისტრების წინაშე შუამდგომლობს, რათა ქუთაისის 4 მაზრის სამხედრო სამსახურში მყოფთა ოჯახებს დღიური დახმარება მიეცეთ.

# ქუთაისის საგუბერნიო აღმას. კომიტეტი.

(ივლისის 24 სხდომა).

დღის წესრიგში აღნიშნულია სხვათა შორის: გერმანეთის ქვეშევრდომთა ჭიათურის ქვანახშირის წარმოების ლიკვიდაციის შესახებ მოხსენება ბაღდადის ინციდენტი, მილიციის საქმე და სოც. ფედერალისტების განცხადება. ეს არის მთავარი საკითხები, რომელთაც კრებამ უმეტესი დრო მოანდომა.

გრ. ურატაძის თავმჯდომარეობით კრება ბაღდადის ამბების განხილვას შეუდგა.

საგუბერნიო კომიტეტის თანაშემწე ნ. ქიქოძემ მოხსენება წაიკითხა ბაღდადის ამბების შესახებ. გუბერნიის კომისარის გამოძიებით საქმის გარემოება ასეთი ყოფილა: ივლისის 16 სოფ. ბაღდათში, სოც. ფედერალისტებს პარტიული კლუბი გაუხსნიათ. გახსნაზე ალ. წერეთელს სიტყვა წარმოუთქვამს; ერთბაშად ხალხიდან ერთს დაუყვირია: „ძირს“, „გამოაგდეთო“. ორატორმა მსმენელთ მოუწოდა, ყურს ნუ უგდებენ იმ უპასუხისმგებლო პირებს, რომელნიც მათ ფედერალისტების წინააღმდეგ ამხედრებენ. ამის საპასუხოთ ბრბოს ერთი ნაწილი ტრიბუნას მისცვივნია. კლუბში შეჭრილა დარბევა დაუწყია. სოც. ფედ. მოწმეთა და სახლის პატრონის სიტყვით დარბეულ შენობიდან ძვირფასი საგნებიც დაუტაცნია ბრბოს. მეორე დღეს ფედერალისტთა პარტიის ქუთაისიდან ჩასულ წევრებს ადგილობრივ კომისარისთვის მოუთხოვია რამდენიმე პირთა დატუსაღება, რაზედაც კომისარს უკითხავს: თქვენ გაქვთ ამის უფლება? საგუბერნიო კომისარის თანაშემწეს ნ. ქიქოძეს თვით დაუტუსაღებია რამდენიმე კაცი.

საგ. კომისარის მოხსენების შემდეგ კრების ხაყურადღებო ცნობები მიაწოდა ჯარისკაცმა ისიპენკომ. მისი სიტყვით აუარებელ დეზერტირებს სთარეშოდ გადაუქცევიათ ბაღდათი.

მისი სიტყვით დეზერტირების შიშის გამო ქალები შინიდან გარედ ვერ გამოდიან. დეზერტირები თვითნებობენ,

მცხოვრებთ სძარცვავენ, არბევენ, ბაზარში ქეიფობენ, მაგრამ მათ წინაამდეგ ვერას აწყობენ, რადგანაც ადგილობრივი მილიცია ერთობ მცირე რიცხოვანია და ოსიპენკო ირწმუნება, რომ დეზერტირები რომ არა ყოფილიყვნენ, არც დარბევა მოხდებოდა.

გუბ. კომისარის თანაშემწეს საჭიროდ მიაჩნია მთელი გუბერნიის ყველა საზოგადო სარევოლუციო ორგანიზაციებს, კომისარებს, სასოფლო, სარაიონო და სამაზრო კომიტეტების ცირკულიარი დაუგზავნოს, რათა სასტიკად ადევნონ თვალყური და ბალდათის მაგვარი ექსცესები განზრახვაშივე მოსპონ.

ამაზე ილია ჩიქოვანი შენიშნავს, რომ საჭიროა უფრო რეალი საშუალება, თორემ მარტო ცირკულიარები მიზანს ვერ აღწევენ.

რადგანაც საგუბ. კომისარის თანაშემწეს არ აღმოაჩნდა თან ჯარის კაცთა საბჭოს ოქმი ბალდათის ამბების შესახებ, კრებამ დაადგინა საგნის განხილვა გადასდოს.

ვიდრე კრება მილიციის საქმეების განხილვას შეუდგებოდეს, თავმჯდომარე ამბობს, რომ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი ამუშავებს საერთო სავალდებულო დებულებას მილიციის შესახებ, მაგრამ საგანგებო კომიტეტი მიიღებს მხედველობაში საგუბერნიო კომიტეტის აზრს და დადგენილებას. თავმჯდომარემ კრებას აცნობა, რომ ამ ჟამად გუბერნიაში არის სულ 675 მილიციონერი ნაცვლად წინანდელ 1052 პოლიციელისა.

გრ. ურატაძეს მოლაპარაკება ჰქონია საგანგებო კომიტეტთან მილიციის შენახვის შესახებ; კომიტეტს ხარჯის ნახევარი თავის თავზე უტვირთნია. ურატაძეს კი უთხოვია მთელი ხარჯები საგანგებო კომიტეტმა იკისროს.

იხსნება კამათი მილიციის გადიდების შესახებ. რამდენიმე ორატორმა ის აზრი გამოსთქვა, რომ დეზერტირებთან, ყაჩაღობასთან და მოსალოდნელ კონტრევოლუციურ გამოსვლებთან, ხოლო ამისთვის კი მილიციის შემადგენლობა 1000 მდე უნდა ავიდესო.

ილია ჩიქოვანი ამბობს: ძველი რეჟიმის დროს პოლიციას გადასახადების აკრებაც ჰქონდა დაკისრებული, თუ ეს მოვალეობა მილიციასაც ედება კისრად, მაშინ 1050 ცოტა იქნება, ვინაიდგან ძველად პოლიციელთა ამ რიცხვის გარდა გადასახადების ამკრეფთ ეხმარებოდა სამხედრო ნაწილებიც.

გრ. ბარათაშვილმა სთქვა, კონტრევოლუცია ჩუმად მზადდება, მოსალოდნელია გამოსვლა, ჩვენც მზათ უნდა დავხვდეთ და ამისთვის მილიცია გავადიდოთო.

გეგელაშვილის აზრით დეზერტირების დაჭერაში და კონტრევოლუციის ჩაქრობაში მილიცია სულ ერთია ვერას გააწყობს—ეს ჯარის საქმეა. ორატორი საჭიროდ სცნობს მილიციელთა ძველი რიცხვი დარჩეს.

გოლდმანი ხაზს უსვამს პოლიციისა და მილიციის სხვადასხვაობას... მისი აზრით. მილიციას არ უნდა დაეკისროს პოლიციის ფუნქციები, ძებნა დევნა და სხვა, მილიციამ მხოლოდ რევ. ორგანოების განკარგულებების ასრულებას უნდა დაეხმაროს. მოითხოვს მილიცია 800-მდე აიყვანონ და ჯამაგირი გადიდებულ იქნეს.

ხმის უმეტესობით სწყდება მილიციის შემადგენლობა 800 იქნეს გადიდებული.

შემდეგ კამათი იმართება ჯამაგირის მომატების რაოდენობის შესასებ. კენჭის ყრით მილიციის ინსპეკტორს გადაეწყვიტა 300 (გარდა წასვლა-წამოსვლის ხარჯებისა, რომელთაც ცალკე მიიღებს.)

მდივანს—150, ნაცვლად 80; საქმის მწარმოებელს—100; ნაცვლად 80; მილიციის ოფიცერს 250 (ამაში შედის ცხენის ხარჯებიც) ნაცვლად—250 მ.; საწერ მანქანაზე მბეჭდავს—100 ნაცვლად 80-ისა; ქვეითა მილიციების—80 მ. ნაცვლად 50; ცხენოსანს—130 ნაცვლად 80-ისა.

(დასასრული ხვალ)

ჩ.

## თანამედროვე მომენტი და ხელოვნების პითხვა

მძიმე რევოლუციურ მომენტში ვსცხოვრობთ. რუსეთის ძველი პოლიტიკური სხეულის ოპერაცია დასრულდა და რევოლუციამ საფლავს მიაბარა იგი. რუსეთის დემოკრატიამ და ყველა ჩაგრულმა ერმა სამარადჟამო პანაშვიდი გადაუხადეს ძველ, დახავსებულ რუსეთს. მოკვდა იგი —ძველი პირსისხლიანი რუსეთი მთელი თვისი შემქმნელი ძალებით.

დღეს მომავალი რუსეთის პოლიტიკური არსებობის საიმედო, საჭირო სახის თუ ფორმის შექმნაზე ისმის ასეთი სიტყვები: მთელი ხალხი ამ სახის, ამ პოლიტიკური ფორმის ძიების პროცესში იმყოფება.

აჭრელებულია რუსეთის იმპერიის მთელი სივრცე პარტიული სხვადასხვაობით. ყველას თავისებურად ესმის ახალი პოლიტიკური წყობილების ფორმა, სახე, და ყველანი თავისებურად იბრძვიან.

რევოლუცია კვლავ მიმდინარეობს, საერთაშორისო ტრაგედია ჯერ კიდევ წარმოებს, არც ერთი, არც მეორის გამარჯვებით თუ დამარცხებით დაბოლოვების იმედი ახლო მომავალში არ გვაქვს. დღეს ვსუნთქავთ ვსცხოვრობთ, მაგრამ ხვალ რა მოგველის თვით არ ვიცით.

რევოლუციის მიერ მოპოებული პოზიციების გამაგრება, თვით რევოლუციის პროცესის გარღმავება—აი კატასტროფული მომენტის მოთხოვნილება. ეს არის მომენტი ჩვენი დღევანდელი ყოფისა, და ალბათ მკითხველს გაუკვირდება, რომ ჩვენ ასეთ დროს სიტყვას ვამბობთ ხელოვნებაზე. ჩვენ გვაქვს საფუძველი შევქმნათ ასეთი ეჭვი, რადგანაც არა ერთხელ გვსმენია საყვედურები. ასეთი აზრის მატარებელთა წინაამდეგ ვიტყვი მხოლოდ ერთს, სახელდობრ იმას, რომ ხელოვნების საშუალებითაც შეიძლება რევოლუციის მსახურება. ეს სრული სინამდვილეა, რომელიც მტკიცებას არ მოითხოვს. სწორედ რევოლუციის როცესის წარმოების დროს ხელოვნებამ თვისი სწორი სახე უნდა გამოააშკარავოს, მას თავისი მისიის შესრულება სწორედ დღევანდელ ტრაგიკულ მომენტში შეუძლია. ასე რომ სრულებით უნიადაგონი არიან მოსაყვედურეთაგან წარმოშობილი აზრები დღევანდელ დღეს ხელოვნების არ საჭიროებაზე.

თვით ცხოვრების მიერ შექმნილ ატმოსფერაში იხჩრობოდა ყოველი სადი საჭირო, აუცილებელი, სასარგებლო ხალხისათვის, იხრჩობოდა ყოველი თავისუფალი აზრი, ფიქრი, სიტყვა, როდესაც ძველი რუსეთის ალვირახსნილ ბიუროკრატიის მიერ იყო დევნილი ყოველი თავისუფალი მოაზროვნე, იყო დევნილი ხალხის საუკეთესო შვილები, მოწინავე ელემენტები, განა ასეთ დროს, ვიმეორებ, სასტიკად არ იყო შევიწროებული წმინდა სხეული ხელოვნებისა; არ იყო შებორკილი სცენა, მწერლობა, მხატვრობა და სხვა? მოვიგონოთ, რა ბედი ეწვია რუსეთს ცნობილ დრამატურგის ლეონიდე ანდრეევის ზოგიერთ დრამატიულ ნაწარმოებებს, მაგ. „ანათემას“ და „პავლე პირვ.“, ან და ჰერგარტ ჰაუპტმანის „ჰანელეს“; ასეთი მაგალითები ქართულ დრამატიულ ლიტერატურის ცხოვრებაშიც ძლიერ ხშირი იყო, მრავალი მაგალითი-შემოქმედებანი იყო დაფარული ძველი რუსეთის მკაცრი თვალთახედვიდან. ასე რომ, ხელოვნების ევოლუციის, მისი ბუნებრივი მსვლელობის მრისხანე მტერი იყო ძველი რუსეთი. და თუ დღეს ძველი რუსეთის სხეული რევოლუციის სტიქიურ ცეცხლის კოცონზე ფერფლად იქცა და გაიღო კარები ახალი, თავისუფალი, მზიური ცხოვრებისა, იმავე თავისუფლების ზღვის ფართო სივრცეზე გამოსცურდა თავისუფალი ხელოვნების გემის იალქანი და დღეს იგი, კვლავ ვიმეორებ, ხალხს მთელი თვისი ძლიერი შემოქმედებითი ძალით უნდა მოევლინოს. ხელოვნებისათვის, მისი განვითარებისათვის დღევანდელი მომენტი საუკეთესო ნიადაგს ამზადებს. შემოქმედიც თავისუფალია და სამოქმედო ასპარეზიც, ცხოვრება მასალებს აუარებელს იძლევა და სწორედ ცხოვრება დღეს წარმოშობს ნამდვილ ხელოვანს, ნამდვილ შემოქმედ, ნიჭს. ქართული ფრთა გაშლილი ხელოვნების ყველა დარგს: პოეზიას, მუსიკას სცენასა და სხვას დაე ეს უნდა განუმზადდეს მკვიდრი ფუძე.

ამ წერილში მე შევეხები განსაკუთრებით სცენას. ყველასათვის ცხადი და ნათელია თეატრის არსებობის აუცილებლობა, მისი საჭიროება თუ ლიტერატურა შექმნილ და აღიარებულ არის ადამიანთა ცხოვრების რეალ სარკედ, თუ იგი არის სწორი განსახიერება არსთა ყოფნისა, ხასიათისა და სახისა, სცენაც იგი სახე არის კაცობრიობის ცხოვრებისა. სცენას მეტი მნიშვნელობა აქვს და მეტი გავლენა პიროვნების ფსიხიკაზე. თეატრში, როდესაც ჩვენ პიესას ვუყურებთ, ვეცნობით აზრს მისას, ვხედავთ ცოცხალ ტიპებს რომელიმე ერის ცხოვრებისას, ვხედავთ მოძრავ, მომქმედ პირებს-მსახიობებს, რომლებში ყოველი ჩვენთაგანი ცოტად თუ ბევრად ხედავს თავის ,,მე''ს, სჭვრეტს თავის ინდივიდუალობას თვისი დადებითი და უარყოფითი თვისებით, თეატრში ჩვენ ადამიანის ფსიხოლოგიას ვსწავლობთ, თეატრში ჩვენ ჩვენივე თავის, ჩვენივე ხალხის და აგრეთვე სხვა ხალხის მხილველნი ვართ, რადგანაც ყოველი დრამატიული ნაწარმოების სიუჟეტი აღებულია ავტორის მიერ ან თავისი ერის, ან სხვა ხალხის ცხოვრებიდან. ისტორიული პიესების მიხედვით ჩვენ ვეცნობით ისტორიულ წარსულს ამა თუ იმ ხალხისას. მაგ. ,,სამშობლო'' ,,ლევან სამეგრელოს მთავარი'', ,,ლალატი'' ,,ქეთევან წამებული'', ,,შემდეგ ,,ვიდრე ხვალ უფალო'' ,,ახალი მოძღვრება'' ,,იულოს კეისარი''-ყველა ამ პირების წყალობით ჩვენ ვეცნობით ქართველთა და რომაელთა ისტორიულ წარსულს. სწორედ ასეთი პიესების დადგმის დროც დღეს არის.

აქ ჩვენ ვხედავთ ქართველთა ძველ სიმამაცეს, გმირულ სულს, ანთებულს მამულისადმი სიყვარულით და ამოძრავებულს მის საკეთილდღეოდ.

ავიღოთ ახლა რევოლუციური პიესები: ,,დამარცხებულნი'' ,,გამცემი'' ,,მსხვერპლი'', ,,სოფლის გმირები'', ,,ჟან და მადლენა''-ყველა ამ პიესებმა დღეს უნდა იხილონ სცენა, რათა მაყურებელთა არსებაში განამტკიცონ რევოლუციური სული და მთელი თვისი არსებით აამოძრაოს იგი. ამ რიგათ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი როლის თამაში შეუძლია ხელოვნებას დღევანდელ რევოლუციურ მომენტში. ვგონებ არავის ეთქმის, რომ ,,დღეს ხელოვნებაზე ლაპარაკი დროს დაკარგვააო''.

რა მდგომარეობაშია სცენა პროვინციაში, რა რიგ ემსახურებიან ხელოვნებას პროვინციის სცენის მოყვარენი, ან როგორია მათი ღირსება ნაკლოვანება, ამაზე შემდეგ წერილში.

ფრანც მოორი.

## რუსეთი.

### შავრაზმელთა ორგანიზაციის აღმოჩენა.

ამ დღეებში პეტროგრადში მოხდა რამდენიმე საყურადღებო ფაქტი, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან. დაატუსაღეს: ,,ზემშჩინას'' ყოფილი თანამშრომელი გლინკა-იანჩევსკი, ,,რუსკოე ზნამიას'' თანამშრომელი ზლონიკოვი, ექიმი ბადმაევი, გაზ. ,,ვეჩე''-ს გამომცემლის დედა, დაჰკეტეს ,,რიყეზე'' მყოფი სტამბა, და გაჩხრიკეს პუშკინის ქუჩაზე წიგნის სავაჭრო.

აღმოჩნდა მთელი ორგანიზაცია შავრაზმელებისა ,,წმიდა რუსეთის'' სახელით; შავრაზმელები სცემდნენ გაზ. ,,გროზას'', რომელიც მრავლად მრავლდებოდა ჯარში.

ეს გაზეთი ამტკიცებდა, რომ მის გაგრძელება. მხოლოდ ებრაელებს სწადიათ და ამიტომ ჯარს მოუწოდებდნენ დაერბიათ ისინი. რუსეთის პირველი მტერი ინგლისი და საფრანგეთიაო, ჰქადადებდა თურმე გაზეთი იბეჭდებოდა ის ჩუმად სარდაფში, შემდეგ ზემო ხსენებულ წიგნის სავაჭროში ინახავდნენ და ჩუმად ჰყიდნენ. ,,გროზა'' აუარებელი მიდიოდა ბრძოლის ველზე. ეს ორგანიზაცია აპირებდა ახალ დიდი ლეგალურ გაზეთის გამოცემას „სოციალისტის“ სახელწოდებით. ბადმაევის ბინის გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა, რომ ,,ჭეშმარიტ რუსთა კავშირის'' წევრებს ინსტრუქციები ჰქონდათ მიღებული ბოლშევიკებთან მჭიდრო კავშირი დაეჭირათ; მათვე ჰქონიათ ნაბრძანები, რომ მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ ივლისის 3—4 გამოსვლებში. ამით აიხსნება სხვათაშორის ის გარემოება, რომ კშესინსკის ბინის გაჩხრეკის დროს ,,ჭეშმ. რუს. კავშირის'' დახეული მანდატები იპოვეს.

გამოძიება ამის გამო სასტიკი სწარმოებს.

## უცხოეთი.

### ამერიკა-ჰოლანდიის უთანხმოება.

ამერიკამ ამასწინად ჰოლანდიაში მიმავალ სავაჭრო გემთა რიცხვი შეამცირა, რადგან შეამჩნიეს, რომ ჰოლანდია გერმანიაში გზავნიდა ამერიკიდან მიღებულ საქონელს.

ამის საპასუხოთ ჰოლანდიის მთავრობამ შეუთვალა რომ ის სრულიად შესწყვეტს ამერიკასთან სავაჭრო ურთიერთობას.

### უქაღალდობა საფრანგეთში.

ფრანგული გაზეთები კვლავ შეამცირებენ ზომას, რადგან ქაღალდი თითქმის სრულებით აღარ შემოაქვთ ამერიკიდან. მიზეზი წყალქვეშების თარეშია.

### ბულგარელი სოც-დემოკრ. სიხარულით მიდიან სტოკჰოლმის კონფერენციაზე.

სოც. რევოლ. და სოც. დემოკრატების საერთაშორისო განწყობილებას სტოკჰოლმის საინფორმაციო ბიუროს შემწეობით ბულგარელ „ფართე“ სოც. დემოკრატებისაგან დეპეშა მოსვლია, რომელშიაც ისინი აცხადებენ რომ სიხარულით წავლენ სტოკჰოლმის კონფერენციაზე და ითხოვენ დროს გამოცხადებას, როდის დაიწყება კონფერენცია.

### ამერიკის მთავრობა სტოკჰოლმის კონფერენციის წინააღმდეგ.

სოც. რევ. და სოც. დემოკრატების საერთაშორისო განყოფილებამ ცნობა მიიღო, რომ ამერიკის მთავრობა არამც თუ არ უშვებს სოციალისტებს კონფერენციაზე, არამედ ემუქრება, ვინც წავა 3 წლის ციხე ან 9000 დოლლარი ჯარიმა მიესჯება.

## ღია წერილი.

### გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას.

თუმცა თავის დროზე ღირსეულად დავაფასეთ, მაგრამ ჩვენებურმა ეგრედ წოდებულმა „ფუტურისტებმა“ კვლავ დაიწყეს თარეში და, იმედია, თავისი გამოსვლებით არა ერთსა და ორს ახალგაზდას გადაავდებენ გზიდან სამარცხვინოდ ჩვენის მწერლობისა და საზოგადოებისა.

არა უშავს რა! სადაც ამდენი უბედურება და უაზრობა გვჭირს ქართველებს, ესეც იქ იყოს, მაგრამ როცა თქვენისთანა დარბაისელი რედაქცია ადგილს აძლევს თავის გაზეთში ფუტურისტების ყოვლად უაზრო და უტიფარ ლექსებს, ეს კი ველარ გამიგია რას ნიშნავს ასეთი მოვლენა? ნუ თუ პატივცემული საქართველოს რედაქცია ვერ აირჩევს კარგსა და ავს?

გარდა ამისა ბ-ნნი ლელი ჯაფარიძე და ტიტე ტაბიძე ჩვენის პარტიისა თუ არა თქვენის რედაქციის ცნობილ წევრებად მაინც ითვლებიან და ჩემის აზრით მათი ფუტურისტული ,,ტურნე'' საქართველოში ჩვენს პარტიას დაამცირებს ხალხის თვალში.

ჩემის მხრივ ერთხელ კიდევ ვუცხადებ პროტესტს მათ ასეთს კადნიერებას:—

ია ეკალაძე.

რედაქტორ-გამომცემელი — დ. ბ. ქვირკველია.

## ექიმები:

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სხა. ტელეფონი 135 №.

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს
ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ ლ. შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთეხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

## რკინისგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |
| ბათუმიდან | დილის | 10 ს. 20 | წ. |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |
| ბათუმისაკენ | დღით | 1 ს. 40 | წ. |

## მამულიშვილნო

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს, შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება ,,ჩვენი ქვეყნის'' რედაქციის კანტორაში.

## ეროვნულ-დემოკრატიული

### პარტიაში ჩაწერა

### შეიძლება

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში

თფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

## 1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**



ეროვნული ბიბლიოთეკა